


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, მტკიცე ბეჭდუდი სიფყვას, ფყილებით და ჭებრით ბუბთის გაფანა ყულა უჯადრისმბაჟ უსამაგლესია.

დაარსებულია
1918 წელს.

შაბათი, **29** მარტი, 2014 წელი.

№63-64 (7445)

რუსკულა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

რას მოუტანს მსოფლიოს



„დიდთა“ ჭიდილი?

რუსა
მოსახლეობა
დაუსვავლია...

რა თქვა ბარაკ
ობამამ, და
მიატოვა
თუ არა ნატომ
საქართველო?

ტენდერი დასრულდა,
მძღოლები გაღამყვებ
ბრძოლას იწყებენ

კოკა გუნსაძეს
ტვირთი
უბიძგება?



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამბან ვერ ნახავ!..

**უსულგულო, არაკომპეტენტური
ჩინოვნისები განსაზღვრებენ
აღამინების, მოჯახების,
სოფლების ბედს**

© მოსაზრენი და ჩინებულია!

**კონსტიტუციაში ჩაიწეროს,
რომ მოჯახი არის
ქალისა და მამაკაცის ერთობა**

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნული ინიციატივით სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას გუშინ მთავრობის სხდომის დასაწყისში მიმართა.

პრემიერის შეფასებით, ანტიდისკრიმინაციული კანონის პროექტი ასახავს ქართველი ხალხის შემწყნარებლობის ტრადიციას, რომლის თანახმადაც განსხვავებული რელიგიის, ეთნიკური კუთვნილების და განსხვავებული ცხოვრების წესის ადამიანები საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთის გვერდებში მშვიდობიანად ცხოვრობენ.

— რადგან შესაძლოა იყოს განსხვავებული მიდგომები და არ უნდა მოხდეს ამ თემით სპეკულირება, გამოვდივარ ინიციატივით, რომ კონსტიტუციაში შევიტანო ჩანაწერი, რომ მოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. ასე მოიტყა ლატვია, შარშან კი ხორვატია, ევროკავშირში შესვლის წინ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არსებული კანონმდებლობით მოჯახი ისედაც განისაზღვრება როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობა, რომ არ მოხდეს არასწორი ინტერპრეტირება, ვფიქრობ, სასურველია ამ საკონსტიტუციო ჩანაწერის არსებობა. ეს კანონი არ ქმნის არავისთვის რაიმე ტიპის ახალ უფლებას; ის საზოგადოების არც ერთ ჯგუფს რაიმე ტიპის პრივილეგიას არ ანიჭებს. კანონი უზრუნველყოფს მხოლოდ იმას, რომ ყველამ თანაბრად ვისარგებლოთ იმ უფლებებით, რაც უკვე გვაქვს უზრუნველყოფილი საქართველოს კანონმდებლობით, — განაცხადა პრემიერმა.



მაინს მოუწავს
კითხვებზე
პასუხის გასვლა

საბარტომელოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიაშვილის შეფასებით, პროკურატურასთან თანამშრომლობაზე უარის თქმით მიხედვით სააკაშვილი საკუთარი თავის ლუსტრაცია მოახდინა.

როგორც ლარიაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, ის, რომ სააკაშვილი შეკითხვებს გაუპირობებლად პრეზიდენტის მიმართ არსებულ ეჭვებს კიდევ უფრო ამყარებს.

— არა მხოლოდ ჩვენ, არამედ მთელი მსოფლიომ ნახა, რომ ეს ადამიანი კვლავაც უარს ამბობს პროკურატურის მიერ შეთავაზებულ ალტერნატიული დაკითხვის წესზე, ვგულისხმობ ვიდუო დაკითხვის ფორმას. მან კიდევ ერთხელ მოახდინა საკუთარი თავის ლუსტრაცია. ის უბრალოდ გაუპირობებლად გამოიხატა ორგანოს მიერ დასმულ ამ მიმე კითხვებს, რითაც კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს ეჭვებს — არა მხოლოდ ჩვენს, არამედ მთლიანად ჩვენი საზოგადოების და მსოფლიოს ეჭვებს, — განაცხადა ლარიაშვილმა.

მისივე განმარტებით, ადრე თუ გვიან მიხედვით სააკაშვილს ყველა შეკითხვაზე მაინც მოუწევს პასუხის გაცემა.

ირაკლი ლარიაშვილის თქმით, მან პროკურატურისგან მიიღო დასტური, რომ გამოძიება ბოლომდე მივა.

მიუხს დისტანსიური
არ მოხერხდა

საბარტომელოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დისტანსიური დაკითხვაზე უარს აცხადებს, — ამის შესახებ ინფორმაციას ტელეკომპანია „რუსთავი-2“ ავრცელებს. მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს მთავარი პროკურატურის შეთავაზებასთან დაკავშირებით კომენტარი კიევიში, უკრაინის ყოფილ პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოსთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

ინტერპრესი

განცხადება

ნაციონალები
ფინიშის სწორზე

საბარტომელოს ლარიაშვილი ბუნებრივად გამოდინარე, მოსალოდნელი იყო, რომ იგი უარს იტყვოდა ჩამოსულიყო საქართველოში და მონაწილეობა მიეღო მისი ცნობილი და რეზონანსული საქმეებთან დაკავშირებით. ეს ასეც მოხდა, თუმცა, იმედს ვიტოვებთ, რომ შესაბამისი სტრუქტურები მოქმედიან სამართლებრივ გზებს, რათა დღეს თუ ხვალ მიიღონ იმ ადამიანის ჩვენება, რომელიც, თუ მთავარი მონაწილე არა, მინიმუმ, ყველაზე ინფორმირებული მოწმე მაინც არის ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებში. რაც შეეხება იმ ვრცელ და განმარტებულ ინტერვიუს, რომელიც ამ დღეებში სააკაშვილმა თავის „რუსთავი-2“-ს მისცა, უნდა ითქვას, რომ ამ ინტერვიუში სააკაშვილმა საკუთარ თავსაც კი გადააჭარბა — სიცრუის, უტიფრობის, უთავმოყვარეობის, უზუსტობის მკვეთრი ნიშნები, რომელიც საზოგადოებამ სააკაშვილის პირიდან მოისმინა, ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ადამიანის მორალურ დეგრადაციას საზღვარი არა აქვს. მით უმეტეს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს თავისთავად სასაცილო თვითგანდიდების მანიისა და საფრთხეების მიმართ დაუძლეველი შიშის პათოლოგიურ სიმბიოზთან.

ჩვენ არ ვიზიარებთ საზოგადოების ერთ ნაწილში გავრცელებულ შიშს იმის შესახებ, თითქოს მონაწილე სტატუსით სააკაშვილის დაბარებამ შექმნილია საფრთხე შეუქმნას ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასა თუ ნატოს მომავალ სამიტზე მასის მიღების პერსპექტივას, მით უმეტეს, შეაჩეროს ეს ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესი. შეუძლებელია ჩვენს დასავლელ მეგობრებსა და პარტნიორებს არ ესმოდეთ, რომ კანონის უზენაესობას ვერ შეზღუდავს პოლიტიკური მიზანშეწონილობა. ამასთანავე, აუცილებელია, ხელისუფლებამ უზრუნველყოს სააკაშვილსა და ნაციონალური მოძრაობის სხვა წარმომადგენლებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების სათანადო არგუმენტირება, პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალობა, რათა დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში მოიხსნას ყოველგვარი ეჭვი პოლიტიკური შურისძიების შესახებ. ხოლო, რაც შეეხება ჩვენს სწრაფვას ევროპულ ოჯახში დაბრუნებისაკენ, ეს ქართველი ხალხის ურყევი ნებაა და ამ ნების აღსრულების გზაზე ნებისმიერი ბარიერი შექმნა, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, შეცდომაც იქნება და უსამართლობაც.

დასასრულად: ამ ბოლო დროს ზოგიერთი ტვიგადახურებული ნაციონალისაგან გვესმის ისტერიკული მუქარები არეულობის მოწყობის, სასტიკი რევანშის, მეორე მაიდანისა და მისთანების შესახებ. ბატონებო, არავითარი ევროპული ღირებულებების დამცველი და დამამკვიდრებელი თქვენ არ ყოფილხართ, არა ხართ და ვერც მომავალში იქნებით! თქვენ გმართავთ ძალაუფლების წყურვილი და ფულის ძალა. ეს დადასტურდა თქვენი მმართველობის ათწლეულში, დაამყარებლმა კანონის აბუჩად ადგებაზე, ჩლუნგ სისასტიკეზე, უდანაშაულოთა სისხლსა და ადამიანის ჩაგვრაზე. თქვენ უკვე წარსულს ეკუთვნით, თქვენ თქვენმავე საქციელმა მოგისპობთ პოლიტიკური პერსპექტივა. დაბეჯითებით გირჩევთ თქვენცა და სასოწარკვეთილებში ჩავარდნილ თქვენს ბელადსაც — ნუ მოუწყობთ გამოცდას ქართველი ხალხის მოთმინებას, ნუ გააღვივებთ მასში შურისძიების გრძობას და ნუ დაიტყვით თავზე ამ შურისძიებით გამოწვეულ რისხვას. ეს ჩვენი გულწრფელი რჩევაა, ხოლო გაითვალისწინებთ თუ არა ამ რჩევას, ეს უკვე თქვენი ნებაა.

„ქართული აპალომა“
27 მარტი, 2014 წ.

გარდაიცვალა საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საკადრო საკითხთა სამსახურის უფროსი
კახა ამირანიძე
პანაშვიდი: 27, 28 III, გამოსვენება 29 III, 14 სთ. მისამართი: თბილისი, ვარკეთილი 3, I მ/რ, კორპ. 13, VII სადარბაზო.



საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამიზანი

„დიდ მწუხარებას გამოვთქვამ ჩვენი თანამშრომლის, მთავრობის კანცელარიის საკადრო საკითხების სამსახურის ხელმძღვანელის კახა ამირანიძის გარდაცვალების გამო. კახა ამირანიძე გამორჩეული იყო თავისი თავმდაბლობით, სიკეთით, საქმის ერთგულებით, მაღალი კვალიფიკაციით. ის იყო ნამდვილი პროფესიონალი, რომელიც უანგაროდ ემსახურებოდა ქვეყანას. სამიზანი ვუცხადებ კახა ამირანიძის ოჯახს, მის მეგობრებსა და კოლეგებს, ვიზიარებ მათ დიდ მწუხარებასა და ტკივილს.“

ირაკლი ლარიაშვილი

საქართველოს მთავრობის
კანცელარიის განცხადება

დიდ მწუხარებას გამოვთქვამთ ჩვენი კოლეგისა და მეგობრის კახა ამირანიძის გარდაცვალების გამო.

კახა ამირანიძე 1997 წელს დაამთავრა თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი საერთაშორისო სამართლის სპეციალობით და მიენიჭა იურისტი კვალიფიკაცია. მან გაიარა საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის არაერთი საერთაშორისო კურსი. როგორც კვალიფიციური ახალგაზრდა კადრი, 2004 წელს დაინიშნა მთავრობის კანცელარიის საკადრო საკითხთა დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე და ბოლომდე თავდაუზოგავად ემსახურებოდა ამ საქმეს. ქვეყნის აღმშენებლობაში შეტანილი პირადი წვლილისა და ღირსეული სამსახურისთვის 2012 წელს კახა ამირანიძე დაჯილდოვდა ღირსების მედლით.

ერთი თვის წინათ კახას 40 წელი შეუსრულდა. ძალიან გვიჭირბოვებდა დაჯილდოება, რომ კახა ჩვენ გვერდით აღარ არის. იგი ყოველთვის დარჩება ჩვენთვის იმის მაგალითად, როგორ უნდა საქმის კეთება ჩუმად, მოკრძალებით და ამავე დროს დიდი პროფესიონალიზმით. კახა ამირანიძე იყო განსახიერება ნამდვილი სახელმწიფო მოხელისა, რომელიც ყოველთვის სახელმწიფოს ემსახურებდა და არა ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალას.

თანაგრძობას ვუცხადებთ და ვუსამძიმრებთ კახა ამირანიძის ოჯახს, მის ნათესავებსა და მეგობრებს, ვიზიარებთ მათ დიდ მწუხარებასა და ტკივილს.

ნატოს გზა გადაიკეტა?!

საბარტომელოში ვენბათა დელეგაცია, შეიძლება ითქვას, ერთგვარი პანიკაც გამოიწვია აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებამ, რომ საქართველო და უკრაინა „არ არიან ნატოს წევრობის გზაზე“. მართალია, ანალიტიკოსების დიდი ნაწილი ბარაკ ობამას სიტყვებში უკმაყოფილო დატოვა, მაგრამ ისინი მაინც ხედავენ შემოთხვევისა და პანიკის საფუძველს. თბილისი კმაყოფილიც კია იმით, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა ილუზიები დაამსხვრია და ნატოსთან განწევრიანებასთან მიმართებით რეალობის შესაბამისი განცხადება გააკეთა.

ნატომ მიგვატოვა, ნატომ უარი გვითხრა, ნატო გვატყუებს — საქართველოს მოქალაქეების მხრიდან ასეთი შინაარსის შეფასებების ტალღა სოციალურ ქსელებში შეერთებული შტატების პრეზიდენტის განმარტებებს მოჰყვა. 26 მარტს ბრიუსელში ამერიკა-ევროკავშირის სამიტის ფარგლებში გამართულ პრესკონფერენციაზე დასმულ შეკითხვას, გაზრდის თუ შეამცირებს უკრაინის კრიზისი ნატოს გაფართოების შეუძლებლობას, მათ შორის, უკრაინისა და საქართველოს განწევრიანების კუთხით, ბარაკ ობამამ ასე უპასუხა:

„არც უკრაინა და არც საქართველო არ დგანან ნატოში გაწევრიანების გზაზე. ამ ეტაპზე არ არსებობს ნატოს გაფართოების გეგმა. რუსეთი მიანიშნებდა, რომ შეკრაინასთან დაკავშირებული უკრაინისთვის ერთ-ერთი მიზეზს წარმოადგენდა უკრაინის პოტენციური წევრობა ნატოში. მეორე მხრივ, ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც უკრაინას ოფიციალურად არ გამოუხატავს ნატოში გაწევრიანების მისწრაფება, არის მისი რთული ურთიერთობა რუსეთთან და, ცხადია, არ მგონია,

რომ ეს უახლოეს მომავალში შეიცვლება“.

მაშინ, როცა საზოგადოების ერთმა ნაწილმა პრეზიდენტ ობამას სიტყვებში შემავლობა აქცენტები ამოიკითხა და ნატო-უკრაინის საკითხზე უფრო დაუფრთხილდა, შექმნილმა სიტუაციამ დააკმაყოფილა საქართველოს ხელისუფლება. მაგალითად, როგორც საქართველოს პრემიერ-

ბოლო ორი წლის განმავლობაში გამოვლინდა. მაია ფანჯიკიძის თქმით, საქართველო განაგრძობს მტკიცე და თანამიმდევრულ სვლას ალიანსისკენ რწმენით, რომ „ერთ დღეს საქართველო გახდება ნატოს წევრი“.

უნდა მივხვდეთ, რამდენი რამეა ჩვენთვის შიგნიდან გასაკეთებელი, რამდენი საშინაო დავალება გვაქვს შესასრულებელი მხო-

ალექსი პეტრიაშვილმა უთხრა უკრაინისთვის, ბარაკ ობამას განცხადება „არავითარ შემთხვევაში არ ეხება საქართველოსთვის MAP-ის მიწიჭების თუ არმიჩქების საკითხს“. სახელმწიფო მინისტრის განმარტებით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის 28-ვე წევრი და ნატოს ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი

ინც თვლის, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტი ამ სიტყვებით რუსეთისგან მეტი აგრესიის გამოწვევას მოერიდა. ლევან ცუცქერიძე მიიჩნევს, რომ საქართველო ამ ფაქტმა უნდა გამოაფხიზლოს და გაააქტიუროს:

„უნდა მივხვდეთ, რამდენი რამეა ჩვენთვის შიგნიდან გასაკეთებელი, რამდენი საშინაო დავალება გვაქვს შესასრულებელი მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი სახლი მოვიყვანოთ წესრიგში, რომ მეორე საგარეო პოლიტიკაში უფრო მეტი წარმატება გვქონდეს... MAP-ის მიღება არ ნიშნავს ნატოში მაშინათვე გაწევრიანებას და იმიტომ ეს არ იქნება იმის საწინააღმდეგო ტენჯიკურად, რაც თქვა ამერიკის პრეზიდენტმა. ასე რომ, ამის შესაძლებლობა არსებობს — უბრალოდ, ჩვენ ჩვენი გასაკეთებელი უნდა გავაკეთოთ“.

მართალია, ბარაკ ობამას წერილი არ დაუსვამს და არ უთქვამს, რომ საქართველო და უკრაინა არასოდეს გახდებიან ნატოს წევრები, მაგრამ ანალიტიკოსებს არ გამოჰპარვიათ, რომ ამერიკის პრეზიდენტს თავის კომენტარში არ უხსენებია განწევრიანებასთან დაკავშირებული დამირება, რაც ალიანსის წევრებსა 2008 წლის აპრილში ბუქარესტის სამიტზე დადეს და რის მიხედვითაც, საქართველო და უკრაინა ერთ დღეს აუცილებლად გახდებიან ნატოს წევრები. პოლიტოლოგი ლევან ცუცქერიძე აუცილებლად მიიჩნევს აქტიურ მუშაობას დიპლომატიური არსებით, რომ უახლოეს მომავალში საერთაშორისო არენაზე გაკეთდეს განცხადებები, რაც საქართველოს ნატოს-კენ სვლის შეუქცევადობას გაუსვამს ხაზს.

ლელა კუნძია,
რაიო „თავისუფლება“

რა თქვა ბარაკ ობამამ, და მიატოვა თუ არა ნატომ საქართველო?

მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა უთხრა ჟურნალისტებს 27 მარტს, აშშ-ის პრეზიდენტმა ფუჭი ილუზიები დაამსხვრია:

„ის, რაც პრეზიდენტმა ილუტურად ადგეკატური და ეს არის რეალობა, რომ არ იგეგმება ნატოს გაფართოება ამ ეტაპზე და ამიტომ ჩვენი ამოცანა, ჩვენი ხელისუფლების მიზანია, რომ მოსახლეობას სწორი ინფორმაცია მივანოდოთ და მცდარი მოლოდინები არ გავუჩინოთ ისევე, როგორც ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს“.

„ჩვენ არასოდეს გვითქვამს, რომ წლებადედი სამიტზე საქართველოს ნატოში მიიღებენ“ - ეს უკვე საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის სიტყვებია. ის თვლის, რომ უელსის სამიტზე საქართველოსთან მიმართებით „ასახული იქნება პროგრესი“, რაც



„შესაბამისად და ჯეროვნად უნდა იქნეს ასახული ნატოს გადაწყვეტილებებში“.

საქართველოს ხელისუფლების მიერ პოზიტიურ ჭრილში გაკეთებული კომენტარები სასეებით გასაგებია პოლიტოლოგ ლევან ცუცქერიძისთვის, რადგანაც შექმნილ სიტუაციაში საზოგადოების პოზიტიური განწყობების შენარჩუნება ის ხელისუფლების მოვალეობადაც კი მიიჩნევა. ეს იმიტომ, რომ თუკი საქართველოს მოქალაქეებმა

ლოდ იმიტომ, რომ ჩვენი სახლი მოვიყვანოთ წესრიგში, რომ მეორე საგარეო პოლიტიკაში უფრო მეტი წარმატება გვქონდეს...
ლევან ცუცქერიძე: რაც შეეხება განწევრიანების სამომავლო გეგმას (MAP), როგორც სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ეროვნულ ტელევიზორ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში

სელი ჩაიქნის და უარი თქვას ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე, პოლიტოლოგის თქმით, ჩვენ, უბრალოდ, დავეკრავთ ქვეყანას. მიუხედავად იმისა, რომ თავად ლევან ცუცქერიძე ჩვენთან საუბრისას, სხვა არაერთი ანალიტიკოსის მსგავსად, საქართველოსთვის საკმაოდ არასასურველად მიიჩნევს ბარაკ ობამას განცხადებას, ის მა-

მრთხმალ აღვნიშნე და ვიმეორებ – სუსტი პოლიტიკოსისა და სახელმწიფოს მეთაურის-გან გაცილებით მეტ განსაცდელზე უნდა ელოდეს საზოგადოება, ვიდრე ძლიერისგან. სახელმწიფოს ძლიერი მეთაური არ საჭიროებს საკუთარი სიძლიერის წამდაუნუმ დემონსტრირებას. სუსტი კი იძულებულია, ქვეყანას დაუმტკიცოს სიძლიერე და ამ პროცესში გამოირიცხოს არ არის ისეთი შეცდომა, რაც სანაწიველი გახდება არა მისთვის, არამედ მისი ქვეყნისთვის.

როდესაც აშშ-ის პრეზიდენტზე ვლაპარაკობთ, განსაკუთრებით მის სუსტ მხარეებზე, შედეგი მისი ქმედებისა არა მარტო მის ქვეყანაზე აისახება, არამედ მთელს მსოფლიოზე. სამწუხაროდ, მსოფლიოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით ერთი ქვეყნის, ამ შემთხვევაში აშშ-ის, პირველი პირისა და მისი გარემოცვის ხუშტურზე დამოკიდებული მსოფლიოს ბედი.

რატომ არის ასე და რატომ არ ცდილობს დანარჩენი მსოფლიო, თავი დააღწიოს, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო ვითარებას – ერთის ბატონობა რომ ჰქვია? არის თუ არა ეს მორჩილება მოჩვენებითი, მყუდრო ცხოვრებით გამოწვეული? იქნებ ისეთ რამესთან გვაქვს საქმე, არც ერთს რომ არ სურს მსოფლიო მენტორის ან უანდარმის როლის შესრულება? და რახან არის ქვეყანა, რომელიც ნებაყოფლობით იღებს ამ ვალდებულებებს, დე, ის იყოს ყველაფერი?

თუ სიღრმისეულად შევფასებთ თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებას, დაინახავთ, რომ მთლიანად თუ არა, დაახლოებით ასეა. ვალიარებთ, იმასაც, რომ ინდიფერენტობამ, სხვისთვის დიდი პრობლემების გადაწყვეტის მიზნობამ, თავისთავად დაარწმუნა ის „სხვა“ საკუთარ უძლეველობაში, სიჭკვიანეში, დემოკრატიულობაში, სიმართლეში და ა.შ. დაარწმუნა იმაშიც, რომ ყველა დანარჩენი, მასთან შედარებით, არარაობაა, უძლეური მასა, სუსტი სახელმწიფოთა კრებული, რომელთაც მუდამ სჭირდებათ მინიშნება, დატუქსვა, გაფრთხილება, ჭკუის დარიგება, ცემაც კი.

„დიდის“ როლი, განსაკუთრებით მდგომარეობა, კარგად შეისწავლა და გაითავისა, შეისწავლა ლორცა „დიდმა“, თანაც იმდენად, რომ ვეღარ წარმოუდგენია საკუთარი თავი პირველობით გამომწვეული უპირატესობების გარეშე. მას ვერ წარმოუდგენია, რომ როდესაც შეცვლილმა, სხვის მიერ ნათქვამზე იცეკვოს, ისე, როგორც ის აცეკვებს დღეს ყველას.

ცეკვამ, განსაკუთრებით დაძალებულმა, ნაცთა აღზევების პირველი წლები გამახსენა. მართალია, ეს ამბავი თითქოს სულაც არაფერ შუაშია იმ თემასთან, რაზეც ვლაპარაკობთ, მაგრამ მიახლოებით ასახავს იმ პოლიტიკურ უხერხულობას, რაც დღეს არის მსოფლიოში. ნაცთა მორიგი ღრეობის დროს, „პირველმა“ ცეკვის ხილვა ისურვა და თვალი გოკა ცაბაშვილს დაადგა ბრძანებით – ადექი და იცეკვეო. ისიც, მორჩილად, ადგა და ძონძროხა მუცელ-ბარკლებ-საჯდომით, თვალბგადმოკარკულმა, ბრძანება შეასრულა.

მიმე სანახავი იყო ყოველივე, ისე, როგორც მიმე სანახავია მსოფლიოს ქვეყნების დაკრულზე მოცეკვავე დანარჩენი მსოფლიო.

ასე იცის საკუთარი ფუნქციების სხვაზე გადაბრუნებამ, საკუთარი გასაკეთებლის სხვისთვის მიწოდებამ. მიაბარეს „დიდს“ დიდი საკითხები და ახლა ის, „დიდი“ ალარს სჯერდება, სხვის პატარა, საშინაო საკითხების გადაჭრასაც ლამობს და თუ ამ პროცესში წინააღმდეგობას აწყდება, ბირთვული კვრთხის ჩარტყმით იმუშავებს.

არაფერიც არ ხდებაო, ამბობენ „დიდის“ შემყურე დანარჩენები. „დიდმა“ უკეთესად იცის, როგორ მოგვექცესო, ამბობენ დანარჩენები – ნირნამხდარნი, ვითომ სუვერენულნი. „დიდი“ კი განაგრძობს თავის საქმეს – ხან სადასსჯელი ოპერაციებს ატარებს მსოფლიოს ამა თუ იმ კუთხეში – დანარჩენთა ამ საქმეში ჩათრევით; ხან ეკონომიკურ საქცილებს აწესებს ურჩთა წინააღმდეგ; ხან რიცხავს მავან ურჩს ელიტარული კლუბიდან; ხან ლანძღვა-გინების ქარცეცხლში ატარებს სხვაგვარად მოაზროვნე ქვეყნებს – და ა.შ.

საბედნიეროდ, სხვაგვარად მოაზროვნენიც არიან. მართალია, არცთუ ბევრნი, მაგრამ მაინც. „დიდისგან“ განსხვავებული აზროვნება მიუღებელია „დიდისთვის“, რაც კარგად იცინა „დიდის“ ენ. მოკავშირეებმა, ამიტომაც მაქსიმალურად ცდილობენ ისეთი არ თქვან, მით უმეტეს არ გააკეთონ, „დიდს“ რომ არ ესაიამოვებინა.

სწორედ ასეთ ურთიერთდამოკიდებულებას ჰქვია „დემოკრატია“. და კიდევ იმას, როდესაც „დიდი“ იტყვის და შენც უყოყმანოდ

ასრულე – ერთსქესიანთა დაქორწინებას, ფაშისტებისთვის ხელის შეწყობას (უკრაინის მაგალითი), ამორალური, კორუპციული პოლიტიკოსებისთვის გუნდური კმევას, ამ დახასიათების მატარებელი ყოფილი პირველი პირისთვის თავზე ხელის გადასმას, „დიდის“ მიერ ამა თუ იმ ქვეყანაში შეგზავნილი მსტოვებისა და დივერსანტების გამოვლენა-გაკიცხვის ღონისძიების გამტარებელი ქვეყნის ლანძღვას.

„დიდი“ ვერ ამჩნევს (არ ამჩნევს), რომ მსოფლიო იცვლება, რომ მისი ბრძანების კილო და დამრიგებლის სტატუსი ბევრს აღარ აწყობს. „დიდი“ საჯაროდ უგულბებელია სხვათა მიერ იშვიათად გამოთქმულ სანინა-ალმდეგო მოსაზრებას, თუმცა, სინამდვილეში ბევრს აკეთებს მათ დასაწიხლად.

„დიდმა“ ბრძანა „დიდი რვიანიდან“ გავდივარო და სხვასაც ათქვევინა - ჩვენცო, რაც

მოაყალიბებდა რუსეთთან, ჩინეთთან, ირანთან, სხვებთან; დააძლიერებდა პალესტინელ არაბებსა და ისრაელს და ა.შ.

და მსოფლიოც დაიმედებული ფიქრობდა, როგორც იქნა გვეშველა, მსხნელი გამოჩნდაო. 6 წელიწადი გავიდა იქიდან დღემდე, მაგრამ ობამას მიერ ნათქვამი არც ერთი წინადადება არ შესრულდა, პირიქით, იმდენად დაიძაბა ურთიერთობა ორ სუბერ-სახელმწიფოს შორის, ლამის ერთმანეთს ბირთვული ბომბები დააყარონ. ვითარება ისეა შეცვლილი (ცხადია უარესობისკენ), რომ „ცივი ომის“ პერიოდში სანატრელია.

ესეც თქვენი დემოკრატი, ადამიანის უფლებათა დამცველი შავკანიანი ობამა. როგორც ჩანს, ობამასთვის და მოკავშირე ევროპისთვის ადამიანის უფლებების დაცვა მხოლოდ „მედერასტა“ აღზევებას ნიშნავს. „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია“ – ასეთია აშშ-ის

მავალშიც მოხდება – ვაშინგტონშია დანერული-დაგვემილი.

„ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის“ მანტიით ვაშინგტონმა აალორძინა უკრაინული ფაშიზმი, ზენიტში აიყვანა კორუფცია, გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირები, ხელისუფლებაში მიიყვანა ანტირუსულად გაჟღერებული გეგები, კრიმინალები, რთიაც მრავალწლიანი პრობლემა გაუჩინა რუსეთს და ევროპას.

რუსეთი, გვიან, მაგრამ მაინც მიხვდა ამერიკულ მზაკვრულ გეგმას. ევროპა? როგორც ჩანს ვერ, მაგრამ იქნებ მიხვდა? თუმცა, „დიდის“ რიდით თუ შისით – ვერ ამხევის?

აშშ ანტირუსულ სარტყელს უკეთებს რუსეთს დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ცდილობს, ყველა დაიყოლიოს ამ „კეთილშობილურ“ საქმეში. ამერიკული თეორია და პრაქტიკით – ქვეყანა, რომელიც ანტიამერიკული მოსაზრების მატარებელია, ეკონომიკური სანქციებით უნდა დაისაჯოს. ეს „ზეჰუმანური“ ღონისძიება, უპირველესად რიგითი ადამიანების კისერზე რომ გადადის, ვაშინგტონს არ ადარდებს.

რას ნიშნავს ეკონომიკური სანქციები? ეკონომიკურ ბლოკადაში მოქცევას და სულის ამობლას – ნელ-ნელა, წლების განმავლობაში. ბლოკადაში მოქცეული ან სულს განუტევენ ან „მაპატიო“ იტყვის, და დამსჯელს ფეხებში ჩაუვარდება.

ბლოკადის უმთავრესი მიზანი – მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესება და საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრება, ჩამოგდება, ახალი ხელისუფლების მოყვანაა. ეს პროცესი მრავალი წელიწადი შეიძლება გაგრძელდეს. ჯანგამოცლილ ქვეყანას სხვაზე ფიქრის თავიც აღარ ექნება.

მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც უძლებენ ბლოკადას – კუბა, ირანი, ჩრდილოეთ კორეა ამის თვალნათელი მაგალითებია. რას არ აკეთებს აშშ მათ წინააღმდეგ, მაგრამ არაფერი გამოსდის დაჩოქების თვალსაზრისით. არადა, ნორმალურად რომ განვითარებულიყვნენ, მსოფლიოს წარმატებული სახელმწიფოები ეყოლებოდა მათი სახით. აი, ეს იქნებოდა დემოკრატია და არა ანტიდემოკრატიული ამერიკული ბლოკადა.

ამჯერად რუსეთია გეგმაში, რაც ერთობ გასაკვირი და, რაც მთავარია, სახიფათოა მსოფლიოსთვის. ბლოკადაში მოქცეული რუსეთი რას მოიმოქმედებს? უპირველესად დაინყებს საფარო-ეკონომიკური პარტნიორობის ძებნას და მათთან ყოველმხრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, მათ შორის სამხედროს. რას მიიღებს მსოფლიო?

„ცივი ომის“ პერიოდში დაბრუნებას. აი ამას მიაღწია სუსტმა პრეზიდენტმა ობამამ. მან შეძლო საბჭოეთის დაშლის შემდეგ გაღობილი მსოფლიო პოლიტიკის გაყინვა, რომლის კვლავ გაღობას მრავალი წელიწადი დასჭირდება. და ყოველივე ეს – ამერიკული ჰეგემონიზმის ხელის. მაგრამ იზიარებს ამას ამერიკული ხალხი? რომ არ იზიარებს, გამოკითხვამაც აჩვენა, მხოლოდ 40%!

სულ ახლახანს, – ჩინეთის კომპარტიის წარგანო გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო“, მონიშნავს ირდია: „რუსეთ-ჩინეთის სტრატეგიული დაახლოება გახდება მსოფლიო სტაბილურობის საყრდენი. რუსეთმა, ვლადიმირ პუტინის ხელმძღვანელობით აიძულა დასავლეთი, გავეო, რომ „ცივი ომში“ გამარჯვებული არ არის“.

მეორე გაზეთმა, „გლობალ ტაიმსმა“ – დაწერა, რომ უკრაინაში დასავლეთმა ფიასკო განიცადა, რომ მისი გეგმა პროდასავლური რეჟიმის შექმნასთან დაკავშირებით ჩაიფარება. შეიქმნა ქაოხი, რომლის მოწესრიგებისთვის დასავლეთს არც შესაძლებლობა აქვს და არც სიბრძნე. ასეთ დროს ჩვენ არ შეგვიძლია იმედები გავუტყუოთ რუსეთს. ჩინეთი უნდა გახდეს რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი“.

რუსეთ-ჩინეთის მჭიდრო თანამშრომლობა თავისტიკივით გაუჩენს ამერიკა-ევროპას. ხუმრობა ხომ არ არის, მსოფლიოს ყველაზე დიდი და მდიდარი ტერიტორიის მფლობელისა და ადამიანური რესურსების ყველაზე



ზე დიდი ქვეყნის დაახლოება. დღეს, ჩინეთი მეორე ეკონომიკაა მსოფლიოში. სვალე – პირველი. ეს, სვალე კი, თვით ამერიკელი ექსპერტების გამოთვლით, 2020-25 წელი იქნება.

აპაილტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი.

რას მოუტანს მსოფლიოს



„დიდის“ ჭიდილი?

სხვაგვარად მოაზროვნის გაგდებას კი არ ნიშნავს „დიდი რვიანიდან“, არამედ „დიდი შვიდიანის“ გასვლას და იქ მხოლოდ ერთის დატოვებას. საინტერესოა, რა დრო მოანდომა ამ გადაწყვეტილების ფორმულირებას? „დიდი“ თავის სტიქიაშია, „დიდი“ გამომწვევად პოზორებს მედიაში – თქვენ რომ თქვით, კუნთების ნასახი არ აქვს, არც ასეა საქმეო. და მოხდენილად კველუცობს მსოფლიო სარკის წინ – „დაზარული“. ერთხელ, იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრმა თქვა – „რას ერჩიო, ჩვეულებრივი კაცია, ოდნავ გარუჯული“.

ეს, ექვსი წლის წინათ იყო, „გარუჯული“ პრეზიდენტობის დასაწყისში. მაშინ ყველა ფიქრობდა, რომ დემოკრატია, თანაც შავკანიანი პრეზიდენტი მართლაც დემოკრატი იქნებოდა. მაშინ, ყველამ ერთხმად შევებით ამოისუნთქა, როდესაც შავკანიანმა, თეთრკანიან მაკკეინს მოუოგო – გადადგომით ამ აგრესორისგან.

სულ რაღაც თითებზე ჩამოსათვლელი წლები დასჭირდა შავკანიანს, თეთრკანიან მაკკეინად გადაქცეულიყო. „ფერიცვალეზამ“ დაანახა მსოფლიოს, რომ კანის ფერს პოლიტიკაში, მით უმეტეს „დიდში“, არ აქვს მნიშვნელობა; რომ შავი ფერი არამცდარამც არ გამოსატყავს დემოკრატიულობას; რომ შავიც თურმე შეიძლება იყოს ისეთივე რეაქციული, როგორიც ამერიკული თეთრი.

ამერიკულს იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ სწორედ ამ ქვეყნის თეთრებისთვის იყო დამახასიათებელი ობამას წინაპრებთან ბრძოლა. გახსოვთ კუ-კლუქს-კლანი.

და მსოფლიომ მიიღო „დიდი“ ქვეყნის, შავი დიქტატი, „დიდი“ ქვეყნის მიღწეული ჰეგემონიზმის განმტკიცების თავდავიწყებული მებრძოლი.

ობამას პრეზიდენტობის დასაწყისში რა არ იყო ნათქვამი მსოფლიოს გადემოკრატებისთვის. უპირველესად ის, რომ ამერიკა თავის ქვეყანაში საზღვარგარეთ, ისეთ კორექტივებს შეიტანდა, რაც შესაძლებლობას მისცემდა შელახული ავტორიტეტის აღდგენაში. იყო დაპირება იმისა, რომ ჯარს გამოიყვანდა ერაყ-ავღანეთიდან და მშვიდობას დაამყარებდა ამერიკელთა მიერ გაუბედურებულ ქვეყნებში; ნორმალურ ურთიერთობებს ჩა-

პრეზიდენტის მიდგომა ამ დელიკატური საკითხისადმი. რა გამოდის – ვინც კურტუმოს არ ათამაშებს, საჯდომით წვეტიან საგანს არ ეძებს, გამოუჩორკნავი, ჩამორჩენილი ადამიანია – არადემოკრატი და აგრესიული? ასეთი უნდა განადგურდეს? ასეთთან ყოველგვარი ურთიერთობა უნდა განწყვიტოს ენ. დემოკრატიულმა მსოფლიომ?

სულ ახლახანს, აშშ-ის ელჩი რუსეთში, მაკფოლი, რომელიც ვაშინგტონმა ვადამდე გაიწვია – რუსეთში რეველუციის განუხორციელებლობის გამო, წერდა: „მოსკოვის რეჟიმი იზოლიაციაში უნდა მოექცეს... არავითარი „დიდი რვიანის“ წვერობა. არავითარი მოლაპარაკება რაკეტსანინაღმდეგო სისტემებთან დაკავშირებით. ნაცვლად ამისა, უნდა გამოვიყენოთ სანქციები პროპაგანდისტების, სახელმწიფო საწარმოების, კრემლთან დაკავშირებული ბანკირების წინააღმდეგ.“

ამასთანავე, მოქალაქეები და კომპანიები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ხელი-სუფლებასთან და რომლებსაც სურთ თავიანთი აქტივების გატანა რუსეთიდან, ემიგრაცია, მხარდაჭერილი უნდა იქნენ. გორბაჩოვ-რეიგანის შემდეგ აშშ-ისა და რუსეთის ურთიერთობები აღსასვლე იყო კამათითა და თანამშრომლობით, მაგრამ ყოველთვის იგულისხმებოდა, რომ რუსეთი ნელ-ნელა ექცეოდა მსოფლიოს წესრიგში. ეს, დღეს აღარ არის“.

ყოფილი ელჩის, ამჯერად უნივერსიტეტის პროფესორის განცხადება ვერავითარ მსოფლიო წესრიგში ვერ ჯდება, ვინაიდან ეს ენ. მსოფლიო წესრიგზე ამერიკელთა მიერ არის თავსმომხვეული მთელი მსოფლიოსთვის და აშშ-ის პირველობას ემსაბუხება.

და კიდევ ერთი რამ. აშშ-ის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პოლიტიკა, აშშ-ის გარკვეულ წრეთა მიერ შემუშავებულ-განხორციელებული, თავის გზას არ კარგავს ნებისმიერი პრეზიდენტის, თეთრისა თუ შავის, დემოკრატიისა თუ რესპუბლიკელის, ცისფერთა დამცველის თუ პირიქით, პრეზიდენტობის დროს. არ იქნებოდა ობამა და იქნებოდა სხვა ობამა ან ჯონი – ამერიკის გარკვეული გავლენიანი წრეების მიერ შემუშავებული ანტირუსული პროექტის გამტარებელი. ის, რაც უკრაინაში მოხდა, ხდება და მო-

განათლება

ამ ორმოციოდენ წლის წინათ ქართული პედაგოგიის ცის კაბადონზე ახალი ვარსკვლავი ამოზრცინდა, რომლის სიკაშკაშემ თვალი მოსჭრა ყველას: იმათ, ვინც სიხარულით შეხვდა მის გამოჩენას და იმათაც, ვინც შიშითა და ბოღმით ალივსო.

რა უხაროდათ და რა აშინებდათ ახალი პედაგოგიური მნათობის გამოჩენის მომსწრე და მონაწილე ადამიანებს?

სკოლისა და, საერთოდ, განათლების სატყვეობით გულგასენილებს იმედი მიეცათ, ახალი პედაგოგიური იდეების გამოჩენა ერთბაშად თუ ვერ შეცვლიდა, შეარყევდა მაინც იმ რუტინას, რომელიც მავლაჯუნსასავით აწვა ალზრდა-განათლების სისტემას; ჩვენს ბავშვებს ერთბაშად თუ ვერ აჩუქებდა „სიხარულის სკოლას“, ალტერნატივა მაინც გამოუჩნდებოდა „უნდას“ პედაგოგიკას და „ალზრდის ძირითადი ტრაგედია“ (უზნაძისეული შეფასება) შესუსტებულიყო იქნებ.

სხვებს რაღა ანალვლებდათ მაშინ? ახალი პედაგოგიური იდეები რადიკალურ ცვლილებებს გულისხმობდა ალზრდის თეორიასა და პრაქტიკაში, რაც საფრთხეს უქმნიდა „პედაგოგიურ სტაბილურობაზე“ დაფუძნებულ კეთილდღეობას იმ ადამიანებისას, რომლებიც მრავლად იყვნენ როგორც მეცნიერებაში, ისე განათლების ორგანიზაციისა და მართვის სფეროში.

მკითხველი მისვდა, ალბათ, რომ ვლადიმერ გომოტინი-ლი ქართველი მეცნიერი პედაგოგის შალვა ამონაშვილის პედაგოგიური მოძღვრებისა და იმ პრაქტიკის შესახებ, რამაც იმთავითვე მიიპყრო ცნობილი ყურადღება როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში.

გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს იაკობ გეგაშვილის სახელობის პედაგოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერმა შალვა ამონაშვილმა შეიმუშავა კონცეფცია პიროვნულ-ჰუმანურ სანუსებზე ალზრდის შესახებ და, თანამოაზრეობითან ერთად, შესაბამისი პედაგოგიური ექსპერიმენტების განხორციელება დაიწყო დანებებით კლასებში. სულ მალე შალვა ამონაშვილის ხელმძღვანელობით მომუშავე ქართველ ექსპერიმენტატორ პედაგოგთა საქმიანობის შედეგები ფართოდ გახმაურდა, რადგან უამრავ მოკრიტიკეთა და განმქიქებლებთან ერთად, მას ენთუზიასტი მხარდამჭერებიც გამოუჩნდნენ როგორც ჩვენში, ისე სხვაგანაც... და დაიძრა პედაგოგთა ნაკადები იმდროინდელი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, ევროპისა და ამერიკის ქვეყნებიდან საირომის ქუჩაზე მდებარე პირველი ექსპერიმენტული სკოლისაკენ მზია გვილავას, ნანა ყიფიანის, ნანა ვადაჭკორიას, ნორა ტარიელაშვილის, ნათელა ამონაშვილისა და სხვათა გაკვეთილებს სანახავედ და გამოცდილების ასათვისებლად. რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, თვითონ შალვა ამონაშვილის ჯადოსნური გაკვეთილების გასაცნობად...

ერთი ეპიზოდი უნდა გავიხსენო: არ ვიცი, 1974 თუ 1975 წელი იყო, ამერიკის შეერთებული შტატებიდან პედაგოგთა ჯგუფი ჩამოვიდა ოცდაათშთმეტი კაცის შემადგენლობით. თბილისში ამ ჯგუფს მოსკოვიდან ამერიკის საელჩოს წარმომადგენელი ჩამოჰყვა. მაშინ პედაგოგიურ ჟურნალში ვმუშაობდი და ამ დელეგაციასთან ერთად მეც მივედი სკოლაში. ამერიკელებს დრო ერთ-ერთ შეხვედრულ ჰქონდათ, ასე რომ, მაინდა მაინც იმ დღეს უნდა დასწრებოდნენ ბატონი შალვას გაკვეთილს. აბა, ოცდაათშთმეტი კაცი, თავიანთი საელჩოს წარმომადგენელთან ერთად როგორ დაეტეოდნენ ერთ კლასში, არა და, დასწრება უნდოდა უკლებლივ ყველას. მასპინძლები რაღას იზამდნენ, შეუშვეს. ნაწილი სკამებზე დასვეს, უფრო მეტი კი ფეხზე იდგნენ კედლებზე აკრულად; კლასის კარი და ფანჯრებიც, რა თქმა უნდა, ღია იყო... და ჩემი თვალთ ვხედავდი, როგორ იწმინდნენ ცრემლებს ამერიკელი პედაგოგები, თუმცა, ცხადია, ერთი სიტყვაც კი არ ესმოდათ.

საერთაშორისო აღიარება კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ბატონმა შალვამ თავისი გამოცდილება მეცნიერულად განაზოგადა ნიგნში „სწავლება, შეფასება, ნიშანი“, რომელიც მოსკოვში გამოიცა (აბა, საქართველოში ვინ დაუშვებდა მის გამოცემას, სადაც მყარად ვიცავდით პრინციპს „უჩემოდ ვინ იმღერეთა!“). მალე ამას მოჰყვა ნიგნები „გამარჯობათ, ბავშვებო!“ „როგორ ცხოვრობთ, ბავშვებო?“ და „მიზნის ერთიანობა“.

საოცარი რა არის იცი? ნიგნის – „გამარჯობათ, ბავშვებო!“ გამოცემიდან ერთი წლის თავზე, იგი ითარგმნა მსოფლიოს 80-მდე ქვეყანაში. ჩინეთშიც კი, რომელთანაც იმდროინდელ საბჭოთა კავშირს დიპლომატიური ურთიერთობა არა ჰქონდა. რა თქმა უნდა, აგერ, ჩვენი კარის მეზობელმაც – აზერბაიჯანელმა და სომხებმაც გამოსცეს.

საქართველოში ეს ნიგნი ჯერაც არ გამოცემულა! საგაზეთო წერილი იმის საშუალებას არ იძლევა, დანერვილებით ვილაპარაკო იმ სიძნელეებზე, რაც ამ ახალი პედაგოგიური მოძღვრების ავტორსა და მის მიმდევრებს შეხვდათ. ოფიციალური (უფრო კი, განათლების სამინისტროსა და „ნაფიცო“ მეცნიერ-პედაგოგების) მხრიდან შალვა ამონაშვილის დევნაზე ხომ რომანი დაიწერება, რომელიც ერთდროულად სახალისოც იქნება (იმდენი კურიოზია იქ!) და სევდიანიც (დაჭერა რომ მოუხდომეს ანტიმარქსისტული შეხედულებების გამო).

ქვეყანაში, სადაც ქართველებმა ილია ჭავჭავაძე მოეკალით, შალვა ამონაშვილის დევნა კი არ გამოკვირებია, მაგრამ უთუოდ სანყენია, რომ იგი 90-იანი წლებში დასახვედრის ში აიძულეს საქართველოდან წასულიყო.

თუმცა, ვინ იცის... აქ რომ დარჩენილიყო, იმის მოწმე გახდებოდათ კი, რისი მოწმენიც გახდით?

და გავხდით იმის მოწმენი, რომ ბატონი შალვა დღევანდელ მსოფლიოში აღიარებულია თანამედროვეობის უდიდეს პედაგოგად. მას ლექციებსა და სემინარებზე ინვენი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, მისი მოძღვრების პრაქტიკულ რეალიზაციას წარმატებით ეწევიან იაპონიასა და კანადაში, კორეასა და გერმანიაში, ლატვიასა და ფინეთში, რუსეთსა და ყაზახეთში, ესტონეთსა და ბულგარეთში... არის ბევრი ქვეყნის განათლების აკადემიის ნამდვილი და საპატიო წევრი.

შალვა ამონაშვილმა საქვეყნოდ ცნობილ ფუნდამენტურ ნაშრომებში „ფიქრები და განსჯა ჰუმანურ პედაგოგიკაზე“, „პედაგოგიური სიმფონია“ და მრავალ სხვა ჩამოაყალიბა სრულიად ახალი – ჰუმანური პედაგოგიკის კონცეფცია, რამაც მალევე შეიძინა მრავალრიცხოვანი მიმდევრები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ნოვა-

პედაგოგიური პირის ზეიმი.



ანუ ჰუმანური პედაგოგიის დაბრუნება საქართველოში

ტორული აზროვნების პედაგოგებმა ირწმუნეს, რომ თანამედროვე ბავშვებზე დადებითი აღმზრდელობითი ზეგავლენა მხოლოდ ჰუმანური პედაგოგიის პოზიციებიდან არის შესაძლებელი და საზოგადოების დეჰუმანიზაციისა და იდეალების დეფიციტის დამანგრეველ პროცესს მხოლოდ ჰუმანური პედაგოგიკა თუ შეაჩერებს.

გასული საუკუნის ბოლოს სრულიად აშკარა გახდა, რომ ჰუმანური პედაგოგიის იდეებზე დამფუძნებელი საერთაშორისო პედაგოგიური მოძრაობა, სრულიად რეალურ სოციალურ-კულტურულ ფენომენად იქცა, რომელსაც უკვე სავსებით სერიოზული სახელმწიფოებრივი ძალები აღიარებდნენ და ანგარიშს უწევდნენ. სწორედ ამ საერთაშორისო გამოწვევის პასუხად შალვა ამონაშვილმა თანამოაზრეებთან ერთად ჩამოაყალიბა ჰუმანური პედაგოგიის საერთაშორისო ცენტრი, რომლის გარშემო გაერთიანდნენ სხვადასხვა ქვეყნების ჰუმანური პედაგოგიის ასოციაციები, რეგიონალური ორგანიზაციები და განყოფილებები; დააარსეს გამოცემის ცენტრები, ჟურნალები და გაზეთები; სხვადასხვა ქალაქში ყოველწლიურად ტარდება პედაგოგიური კითხვები, სადაც თავიანთ პრაქტიკულ გამოცდილებასა და თეორიულ ნააზრევს უზიარებენ ერთმანეთს ჰუმანური პედაგოგიის უკვე ცნობილი თუ ახალბედა მიმდევრები.

რამდენიმე წელია, ზაფხულში, შალვა ამონაშვილის მშობლიურ სოფელ ბუშეთში (თელავის რაიონი), იკრიბებიან ჰუმანური პედაგოგიის ეროვნული და რეგიონალური ასოციაციების ხელმძღვანელები და შეიმუშავენ ამ ან უკვე დიდი საერთაშორისო მოძრაობის სახელმძღვანელო დოკუმენტებსა და კონცეფციებს.

© ალიან-ჩალიანი

სურსათის ეროვნულმა სავაჭრო კამპანიამ მარკაში დააჯარიმა

სურსათის ეროვნული სავაჭრო ტბილისის სამმართველოს წარმომადგენლებმა ეტიკეტების წესის დარღვევისთვის ვაკის „გუდვილი“, შპს „ლაზური“ და ი/მ „აკაკი ნადირაძე“ დააჯარიმეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სურსათის ეროვნული სავაჭროდან აცნობეს, სურსათის ეროვნული სავაჭრო ტბილისის სამმართველომ დაკონსერვებულ საქონლის ხორცს რუსულენოვან ეტიკეტზე მითითებული ჰქონდა, რომ პროდუქტი შეიცავს სოიოს ცილას, თუმცა, აღნიშნული ინფორმაცია ქართულ სტიკერზე არ იყო დატანილი. გარდა ამისა, დასაბუთებულ განთავსებულ სხვადასხვა დასახელების სურსათს არ ჰქონდა ქართული ეტიკეტი.

დარღვევები გამოვლინდა ასევე კოტე აფხაზის ქუჩაზე მდებარე შპს „ლაზურისა“ და ლესელიძის ქუჩაზე ი/მ „აკაკი ნადირაძის“ მარკეტებში, სადაც გლეხური წარმოების დაფასებული თაფლი ეტიკეტის გარეშე იყო წარმოდგენილი, რის გამოც, სურსათის – ცხოველის საკვების უზენაესობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 741 მუხლის შესაბამისად, ბიზნესოპერატორები 400 ლარით დაჯარიმდნენ.

ამავე დროს, სურსათის ეროვნული სავაჭრო ტბილისის წარმომადგენლებმა შპს „ლაზურიდან“ ამოიღეს ლორი, იოგურტი, სხვადასხვა წარმოების კარაქი, კაკაო, ჩიპსი. ვადაგასული სურსათი დაილუქა და განწმენდებლის შესაბამისად განადგურდება.

„თავისუფალი ზონა“ უმჯობეს ყველს თბილისის საკრებულოს ფრაქცია „თავისუფლების“ თავმჯდომარე მერაბ რაფაგა სარევიზო კომისიის მიერ

კრწანისის რაიონში აღმოჩენილ დარღვევებზე საუბრობს. როგორც რაფაგამ საკრებულოში გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, სარევიზო კომისიას გააჩნია დადასტურებული ფაქტი, თუ როგორ უჭამს „თავისუფალი ზონა“ საქმელს უმწეო ადამიანებს.

– საკრებულოს დეპუტატმა აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად თბილისის მერიამ დასაქმებული გირშელ ბართალია დაასახელა, რომლის ხელფასი 2000 ლარს შეადგენს და რომლის ოჯახის წევრებიც ასევე დასაქმებულნი არიან. მიუხედავად ამისა, ბართალიას ოჯახის ოთხივე წევრი უმწეო ბენეფიციართა სიაში ირიცხება. კრწანისის გამგებელი სათუნა ბერძენიშვილი ბენეფიციართა სივს არაობიექტურად აყალიბებს, რის გამოც არაერთი უმწეო ადამიანი რჩება დასმარების გარეშე, – აღნიშნა რაფაგამ.

ინტერპრესი

პროტესტი



ტენდერი დასრულდა, მკლობები გადამწყვეტ ბრძოლას იწყებენ

რუსთაში-თბილისის სამარშრუტო ტაქსების 700-მდე მძღოლი, რუსთაში-თბილისის გზატკეცილის გადასაკვეთად ემზადება, რათა ამ ფორმით ტენდერში შპს „ინტერტრანსის“ გამარჯვება გააპროტესტონ. გუშინ გაირკვა, რომ რუსთაში-თბილისის მიმართულენებით მგზავრთა გადაყვანას სწორედ ეს კომპანია უზრუნველყოფს. იგი საქართველოს ყველაზე დატვირთულ მარშრუტზე მონოპოლისტურ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან გამოცხადებული 11-ვე ლოტზე კომისიამ გამარჯვებულად „ინტერტრანსი“ გამოაცხადა.

როგორც მძღოლების ადვოკატი რევაზ რიჟაძემაც აცხადებს, მათი პროტესტი უკიდურესად მწვავე იქნება. შპს „ინტერტრანსი“ ჯერ გამარჯვებულად არ ითვლება, რადგან ხელშეკრულების გაფორმების ორკვირიანი ვადა აქვთ, ამ ვადაში შპს-მ 1 მლნ 100 ათასი ლარის საბანკო გარანტია უნდა მოიტანოს დამატებით და უნდა შემოიყვანოს მანქანები, თორემ ხელშეკრულება არ გაუფორმდება. ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის ბრძოლა. სვალადან გადაკვეთავთ რუსთაში-თბილისის გზას 700 ავტომანქანა და შეეცდებით რუსთაში-თბილისის მერის კაბინეტიდან გარეთ გამოგდებას, - განაცხადა რიჟაძემ.

აღსანიშნავია, რომ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა არ მიუღიათ ადგილობრივ სატრანსპორტო კომპანიებსა და ენ. საზღვრის მეტატრონებს, რომლებიც კონკურსის მიზნით 3 წლით გადაწვეას მოითხოვენ და ამ მოთხოვნით პერმანენტულ საპროტესტო აქციებს რუსთაში-თბილისის მერის კაბინეტიდან და უცხო ქვეყნების საელჩოებთან მართავენ.

რაც შეეხება გამარჯვებულ კომპანიას შპს „ინტერტრანსი“, მას განაცხადი თერთმეტივე ლოტზე ჰქონდა შეტანილი და კონკურსის შედეგების მიხედვით, ის რუსთაში-თბილისის მარშრუტებზე მგზავრთა გადაყვანაზე მონოპოლისტი სატრანსპორტო კომპანია გახდა. კონკურსის შედეგები რუსთაში-თბილისის ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო



გადაყვანებზე ნებართვის გაცემის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ რეზო თედორაძემ გამოაცხადა.

თედორაძის ინფორმაციით, კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადი სულ სამმა კომპანიამ შეიტანა, აქედან შპს „რუსთაში-თბილისის მუნიციპალურმა ტრანსპორტმა“ - 3 ლოტზე, შპს „ინტერტრანსი“ - 11 ლოტზე, ხოლო „საქართველოს სატრანსპორტო კომპანიამ“ - 1 ლოტზე, თუმცა, ამ უკანასკნელმა განაცხადის გატანის სურვილი საკონკურსო პაკეტების გახსნამდე გამოთქვა.

„კონკურსში გაიმარჯვა შპს „ინტერტრანსი“, რომელიც შემოდის ვერ-4-ის სტანდარტების ახალი ემ-2 კატეგორიის ტრანსპორტით. კომისიამ „ინტერტრანსის“ საკუთრებაში არსებული 287-ივე სატრანსპორტო საშუალება დაათვალიერა. რამდენიმე დღეში რუსთაში-თბილისის მართან ხელშეკრულებას გააფორმებს, გადაეცემა ნებართვები, თავის მხრივ, „ინტერტრანსი“ დადებს ხელშეკრულებას მძღოლებთან.

აქვე მინდა ვთქვა, რომ მძღოლების 95% ან მთლიანად, როგორც ეს საკონკურსო წესში წერია, იქნებიან ადგილობრივები, ისინი ვინც ამჟამად მუშაობენ რუსთაში-თბილისის მარშრუტზე. ამავე დროს, არ იცვლება და იგივე რჩება მგზავრობის ღირებულება და ის სვლაგეზები, რაც ამჟამადაა. ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები იმისათვის, რომ მძღოლების შრომითი პირობები და ანაზღაურება, ასევე ჯანმრთელობის დაზღვევა იყოს სათანადო, - განაცხადა თედორაძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას.

რუსთაში-თბილისის სამარშრუტო საზღვრე კონკურსის 14 თებერვალს გამოცხადდა და განაცხადების მიღება 17 მარტს დასრულდა. კომისიაში შესული საკონკურსო პაკეტები 18 მარტს გაიხსნა. როგორც ჩანს, ისევე, როგორც ადრე, ამჟერადაც საზღვრის მფლობელებისა და მძღოლების პროტესტი მწვავე და უშედეგაო იქნება.

გივი ბაქაძე

რკინიგზა

კოკა გუნსაკის ტვირთი უმკიდებელია?



რკინიგზის ტვირთბრუნვა კიდევ ერთხელ გახდა მსჯელობის საგანი. რატომღაც ეს ორგანიზაცია ვერა და ვერ ახერხებს ძველ მასშტაბებზე გასვლას, არადა საამისოდ თითქოს ყველა პირობა არსებობს.

რკინიგზით გადაზიდული ტვირთების რაოდენობა 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, 1,9 მილიონ ტონამდე, 9,4%-ით შემცირდა და 18,2 მილიონ ტონა შეადგინა. ტვირთებმა ყველა მიმართულებით დაიკლო, ექსპორტის გარდა, რომელმაც მინიმალურად, 1,7%-ით მოიმატა (1,7 მილიონ ტონამდე). იმავე პერიოდში სატრანზიტო ტვირთებმა, რომელსაც მთლიან მოცულობაში 61% უკავია, 7,7%-ით მოიკლო და 11,2 მილიონ ტონა შეადგინა.

რაც შეეხება ტვირთების სახეობებს, ნავთობი და ნავთობპროდუქტების გადაზიდვებმა 384 ათასი ტონით, ანუ, 4%-ით მოიკლო, 9,1 მილიონ ტონამდე, 471 ათასი ტონით, 33 %-ით - მარცვლეულმა, 952 ათას ტონამდე, ხოლო 11,5%-ით - შაქარმა, 610 ათას ტონამდე.

13,7% -ით შემცირდა რკინისა და მანგანუმის მადანის გადაზიდვები (720 ათასი ტონა), ხოლო 2,5-ჯერ - ფერადი ლითონის მადანი (743 ათასი ტონა), უმნიშვნელოდ (5%-ით) მოიკლო ქიმიური და მინერალური სასუქების გადაზიდვებმა - 481 ათას ტონამდე.

„საქართველოს რკინიგზაში“ ტვირთების კლებას ობიექტურ მიზეზებს უკავშირებენ: „საუბარია ნედლი ნავთობისა და სორბლის ტვირთბრუნვის შემცირებაზე, რომელსაც თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. შავი ზღვის პორტებში, დაახლოებით, 15%-ითაა შემცირებული ტვირთბრუნვა. ბუნებრივია, თუ შავი ზღვის პორტები ნაკლებ ტვირთებს გადაამუშავებენ, შესაბამისად, ჩვენ დერეფანში რკინიგზის მეშვეობით ნაკლები ტვირთი გამოივლის. ასე რომ, საგანგაშო არაფერია“, - განაცხადა „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კოკა გუნცაძემ.

მისი თქმით, სამაგიეროდ, მოიმატა „საქართველოს რკინიგზის“ შემოსავლებმა, რაც მენეჯმენტის მიერ სწორად გამოყენებულმა „რეზერვმა“ განაპირობა. „ზრდა განაპირობა მოქნილი ტარიფების შემოღებამ, სადღურში სერვისების გაუმჯობესებამ და „ჯორჯიან ტრანზიტის“ შემოსავლების რკინიგ-

ზის ბიუჯეტში გადმორიცხვამ, რომელიც წინა წლებში, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, ოფშორში კერძო პირების ჯიბეებში იღებებოდა. რაც შეეხება ტვირთებს, მათი რაოდენობა ბაზრებზე ვითარების ცვლილების პრობორციულად გაიზარდა“, - განაცხადა გუნცაძემ.

სხვათა შორის, რკინიგზის ტვირთების საკითხში ბოლო პერიოდში ენ. ჩრდილოვანი პრემიერის უჩა მამაცაშვილის სახელი წმინდად დიგურირებს. გაერცხლებული ინფორმაციების მიხედვით, სწორედ მისი მეშვეობით და მითითებით ხდება ყველა მსხვილი გარიგება და ტვირთების გადაზიდვა.

ამას „საქართველოს რკინიგზაშიც“ არ უარყოფენ და მოლაპარაკებებში საქართველოს ექსპორტიერ ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილის, უჩა მამაცაშვილის ჩარევას ადასტურებენ, თუმცა, განმარტავენ, რომ იგი აღნიშნულ პროცესში მონაწილეობას არა კერძო პირის, არამედ „საპარტნიორო ფონდის“ წარმომადგენლის სტატუსით იღებს. როგორც რკინიგზაში აცხადებენ, მამაცაშვილი რკინიგზას იმ შემოსავლების დაბრუნებაში დაეხმარა, რომელიც წინა ხელისუფლების მიერ კონტროლდებოდა.

„თანხმად, რომელიც უნდა შემოსულიყო საქართველოს რკინიგზის ბიუჯეტში, მიდიოდა ოფშორებში. შარშან „ჯორჯიან ტრანზიტმა“, რომელიც კეზერაშვილის, მერაბიშვილის კუთვნილი კომპანია იყო, რკინიგზისთვის 12 მილიონი ლარის შემოსავალი მოიტანა. ეს არის მ თვის შემოსავალი, რადგან აპრილში შეიძინა რკინიგზამ ეს კომპანია. წელს დაგეგმილია 15 მილიონი დოლარის შემოსავალი „ჯორჯიან ტრანზიტის“ გადაზიდვებიდან. რომ არა ეს ძალისხმევა, ეს ფული წავიდოდა მერაბიშვილის, კეზერაშვილის და წინა ხელისუფლების პირად ანგარიშებზე“, - აცხადებს კოკა გუნცაძე.

უჩა მამაცაშვილი წლების განმავლობაში რუსეთში ბიძინა ივანიშვილის ბიზნეს სტრუქტურებში მუშაობდა. ხელმძღვანელობდა აგროსამრეწველო კომპანია „სტილილენსკაია ნივას“. მამაცაშვილი ოფშორში დარეგისტრირებული თანაინვესტირების ფონდის მმართველი კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელია და კომპანიაში 42%-ს ფლობს.

გივი ბაქაძე

კაკალ გულში

წერტილოვანი ურახები

● რასმუსენმა ვერ გაგიღებთ კარს, არ არიან უფროსები სახლში, გარედან ვარ ჩაკეტილიო.

● დაბადების დღეზე წასასვლელად რო გამოიძრანჭები და არ დაგპატივენ, ისე არ დავრჩით?

● დღეიდან ნატოში დამიძახეთ!

